სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N33

30.07. 2014

ქ. ლანჩხუთი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის გურია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის კობა მირზაშვილის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი „ბეგლარ იმნაიშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეულის პროდუქტები. CPV კოდი:03100000.

2.2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

საფუძველი საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის #1805 განკარგულება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 1500(ათასხუთას) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს „მიმწოდებლის" მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურეობის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

მოსთხოვოს „შემსყიდველს" მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

მიაწოდოს მომსახურეობა სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში; მომსახურეობის მიწოდების შემდეგ. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველი" ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე ქ. ლანჩხუთი, სოფ.გრიგოლეთი.

7.1. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2014 წლის 30 ივლისიდან 2014 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

8 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

92. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუ კი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 იანვრის ჩთვლით.

„შემსყიდველი":

საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია"
ს/კ: 233734126
ა/ა: GE62TP0034080020000431
სს „პრივატბანკი"
ბ/კ: GAVOGE22
მის: ქ. ლანჩხუთი
ნინოშვილის ქ. №37
დირექტორი:

/კობა [illegible]/

FOOTBALL CLUB "LANCHKHUTIS GURIA" 233734126

„მიმწოდებელი":

ფ/პ ზეგლარ იმნაიშვილი
პ/ნ 26001011522
ა/ა: GE51BG0000000846137100
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
მის: ქ. ლანჩხუთი

ფიზ.პირი

/ ზეგლარ იმნაიშვილი/

დანართი N1

	კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთ ფასი	ჯამი
1	03142100	ნატურალური თაფლი	150 კგ	10.00	1500.00